10. (**საპრიზო კითხვა №4**) ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი, მინოსის სასახლის აღმომჩენი კუნძულ კრეტაზე.

11. ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელი ესპანელი მწერალი.

12. (**საპრიზო კითხვა №5**) ცნობილი ირლანდიელი მწერალი (სახელი და გვარი).

13. (**საპრიზო კითხვა №6 - სამქულიანი**) მთავარი პერსონაჟის გვარი გაიხსენეთ თომას ჰარისის რომანისა „კრავთა დუმილი“ (ან ჯონათან დემის ამავე სახელწოდების მქონე ეკრანიზაციის პერსონაჟისა).

14. რა ერქვა კაცს, რომელმაც ერთ ცნობილ ახალზელანდიელთან ერთად გაიზიარა დიდი წარმატება XX საუკუნის შუა წლებში? 15. XX საუკუნეში მოღვაწე რუსი მწერალი. 16. იტალიური ყოველდღიური გაზეთი.

17. (**საპრიზო კითხვა №7**) რა აქვს საბერძნეთს ყველაზე გრძელი სხვა ქვეყნებთან შედარებით?

18. შენობის შიდა მხარე. 19. მიმდინარეობა XVI საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში. 20. რა ერქვა ელექტროობის, როგორც მოძღვრების, ერთ-ერთ მამამთავარს?

21. (**საპრიზო კითხვა №8**) *იხილეთ ფოტო №2* ამ კაცის შესახებ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მან ნობელის პრემია XX საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო (გვარი).

22. (**საპრიზო კითხვა №9 - სამქულიანი**) რა ჰქვია ლაკმეს მამას, ინდოელ ქურუმს, ლეო დელიბის ოპერაში „ლაკმე“?

23. მაგნიტური მომენტის საზომი ერთეული ატომურ ფიზიკაში. 24. რა ერქვა ცოლს იმ კაცისა, რომელსაც ხსენებულმა მეუღლემ მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება აუშენა. 25. ერთ-ერთი ევროპული ვალუტის ერთი მეასედი ნაწილი. 26. რომელიმე ორგანოს შემადგენელი წევრების სრული სხდომა. 27. სპარტაში - მეფე, ბიზანტიაში - იმპერატორი... თუ მიხვდით რა სიტყვაა, ჩაწერეთ.

28. (**საპრიზო კითხვა №10**) *იხილეთ ფოტო №3* ამ კაცის შესახებ იმას გეტყვით რომ მას „მეფედ“ მიიჩნევდნენ (გვარი).

29. (**საპრიზო კითხვა №11 - ორქულიანი**) ჰავაის კუნძულელთა ეროვნული სიამაყე - მუსიკალური ინსტრუმენტი.

30. რაიმე სიდიდეების ურთიერთდამოკიდებულების თვალნათლივ საჩვენებელი გრაფიკული გამოსახულება.

31. (**საპრიზო კითხვა №12 - ორქულიანი**) ევგენი შვარცი, თევზი „ტელესკოპი“, გრაფი დრაკულა.... როგორი ცხენოსანი შეიძლება შევიყვანოთ ამ სიაში?

32. ქვეყანა, რომლის დედაქალაქშიც სახანძრო სამსახური არ არის ერთი უბრალო მიზეზის გამო - არ სჭირდებათ... აქ ქვეყანა ჩაწერეთ. 33. ფრანგი პოეტების გაერთიანება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 34. პერსონაჟი კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლისა“. 35. ის, რაც შეიძლება გადაიქცეს ცხენებშებმულ ეტლად (ასეთებიც ხდება!). 36. ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგისა.

37. (**საპრიზო კითხვა №13 - სამქულიანი**) აქ კიდევ ერთი რომანი ჩაწერეთ მწერლისა, რომელსაც ეკუთვნის რომანები: „ვიქტორია“, „შიმშილი“ და „გლანის სიკვდილი“.

38. (**საპრიზო კითხვა №14**) ყველაზე დიდი ინდონეზიელი XX საუკუნის ისტორიაში (თუ შეიძლება ასე ვთქვათ!).

39. რა სიტყვა შეიძლება უძღოდეს სიტყვა „ჩქარას“ თავისუფლების წყურვილთან მიმართებაში?

40. (**საპრიზო კითხვა №15**) *იხილეთ ფოტო №4* (რა გვარია?)

41. კოღო ანოფელესის მოსისხლე მტერი თევზთა სამეფოდან. 42. აშშ-ს პრეზიდენტთაგანი (სულ 43-ია, ასე რომ, ამოარჩიეთ).

43. (**საპრიზო კითხვა №16 - ორქულიანი**) გვარი შვეიცარიელი მეწარმისა, რომელმაც საკუთარი კომპანიის სიმბოლოდ ჩიტების ბუდე აიღო, რადგან მისი გვარი სიტყვასიტყვით „ბუდეს“ ნიშნავს... ამ მეწარმის გვარი გაიხსენეთ... თქვენ მას იცნობთ.

44. სახლის შიგნით მდებარე ეზო ძველ რომაულ არქიტექტურაში. 45. კარტოფილის სათხრელად წასული ბიჭის სახელიც დაადგინეთ.

46. (**საპრიზო კითხვა №17 - ორქულიანი**) გლაზგოში დაბადებული ბრიტანელი ქიმიკოსის გვარი ჩაწერეთ, რომლის გვარიც გამოგონების დღიდან მის ყველაზე ცნობილ ანტინალექურ გამოგონებასთან შესისლხორცდა.

47. გვარი კაცისა, რომელმაც პიტერის სასტუმრო „ანგლეტერში“ ჩამოიხრჩო თავი.

48. (**საპრიზო კითხვა №18**) ამაზონის ანაკონდების ძირითადი საკვები... წყლის გოჭი.

49. რვასტრიქონიანი ლექსის სახეობა. 50. ხელსაწყო, რომლის სახელწოდებაც ძველბერძნულად „უწყლო“-ს ნიშნავს. 51. ოპერა „მანონ ლესკო“ ჯაკომო პუჩინის ეკუთვნის... ვინაა ოპერა „მანონის“ ავტორი?

52. (**საპრიზო კითხვა №19**) ამ კაცის მამა მზე იყო... რა ერქვა ამ კაცს?

53. ნიგვზითა და ძმრით შეზავებული მოხარშული კომბოსტო. 54. ვენიამინ სმეხოვის კინოროლი. 55. სახელი კაცისა, რომლის მეტსახელიც „ნიანგი“ იყო. 56. თუ 1973 წელს აშშ-ში ჩამოყალიბებული ცნობილი როკ-ჯგუფის სახელს გაიხსენებთ, მაშინ თარგმნეთ ეს სახელი ინგლისურიდან ქართულად და რასაც მიიღებთ ჩაწერეთ.

57. (**საპრიზო კითხვა №20**) სამხრეთ ამერიკის კონტინენტის „ამერიკის ვენეციად“ წოდებული ქალაქი.

58. ციყვისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მღრღნელი.

59. (**საპრიზო კითხვა №21 - ორქულიანი**) თუ ხუთიანს ჰქვია „ნიკელი“, რა ჰქვია ათიანს?

60. XX საუკუნეში მოღვაწე ავსტრიელი ფერმწერი და დრამატურგი, ოსკარ...

61. (**საპრიზო კითხვა №22 - სამქულიანი**) პარიზის ერთ-ერთი ცნობილი მუზეუმთაგანი, რომელიც ლუვრისა და ტიულრის ბაღის წინ მდებარეობს.

62. პარაგვაული ჩაი. 63. ქართული მხატვრული ფილმი. 64. ქალაქი ჩეხეთში. 65. მატყუარა - თანამედროვე ჟარგონზე. 66. ჰენრიხ VIII-ის ერთ-ერთი მეუღლეთაგანი.

67. (**საპრიზო კითხვა №23**) მტაცებელი ძუძუმწოვარი კატისებრთა ოჯახისა.

68. რა ჰქვია ფორტუნატოს მამას? 69. ჩეხეთის ისტორიული ოლქი.

70. (**საპრიზო კითხვა №24 - ორქულიანი**) შემქმნელი „დეკამერონისა“, „კენტერბერიული მოთხრობებისა“, „ოიდიპოს მეფისა“ და ა.შ.

**სულ კროსვორდში თამაშდება 40 საპრიზო ქულა.**

გისურვებთ წარმატებას!

## მდგომარეობა პირველ ლიგაში

| | | |
|---|---|---|
| 1. | ტარიელ გასიტაშვილი | 253 |
| 2. | თიკო გაბუნია | 229 |
| 3. | მერაბ ლოლომაძე | 228 |
| 4. | ნია ბაღდავაძე | 227 |
| 5. | ირაკლი მჭედლიშვილი | 225 |
| 6. | ქეთინო ურუშაძე | 205 |
| 7. | ნინო ურუშაძე | 200 |
| 8. | ცირა პავლიაშვილი | 199 |
| 9. | ნანა მამულაშვილი | 195 |
| 10. | პაატა პაატაშვილი | 194 |
| 11. | ვახტანგ ნანავა | 191 |
| 12. | გივი კაპანაძე | 180 |
| 13. | მერაბ ქაჯაია | 179 |
| 14. | ლერი თოფჩიშვილი | 178 |
| 15. | გვანცა გორდაძე | 175 |
| 16. | სოფიკო ფრიდონაშვილი | 167 |
| 17. | ზურა სარიშვილი | 162 |
| 18. | თინა სოხაძე | 157 |
| 19. | გოჩა ლობჟანიძე | 143 |
| 20. | ზურაბ მემარნიშვილი | 141 |
| 21. | პაატა თალაკვაძე | 128 |
| 22. | ნუგზარ ბაჩუკაშვილი | 125 |
| 23. | ირაკლი გიგაური | 123 |
| 24. | კობა დალაქიშვილი | 106 |
| 25. | ლექსო ლეკიაშვილი | 96 |
| 26. | ალექსანდრე გოგაძე | 88 |
| 27. | ნელი გორგაძე | 54 |

პირველ ლიგაში VII ტური უპრობლემოდ ჩატარდა. ქულათა დათვლის ჩვენი სკანდალური სისტემა უმრავლესმა მათგანმა მოიწონა კიდეც. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ამ ლიგამაც გაამართლა თავის არსებობა, რადგან მისი მონაწილენი დიდი შემართებით ეპაექრებიან ერთმანეთს.

ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს მათთან პირადი ნაცნობობისა (ზოგი მათგანი 1997 წლიდან მონაწილეობს ჩემპიონატებში), ამიტომ ერთ „ხუთშაბათს“ (15 ნოემბერს) მხოლოდ მათ მივუძღვნით. ჩვენს საკროსვორდო სალონში მოსვლის მსურველ პირველლიგელებს ვთხოვთ წინასწარ დაგვიკავშირდნენ და ჩვენ ვაცნობებთ სად, როდის და როგორ გვეწვიონ.

## რა მოხდა უმაღლეს ლიგაში?

აქ საგანგაშო არაფერი მომხდარა; ტური გავაუქმეთ იმის გამო, რომ ზედმეტად ვიყავით თვითდაჯერებულნი ჩვენი კითხვების სირთულეში და ქულათა დათვლის შემოთავაზებული სისტემა ალტერნატიულად უარვყავით, ანუ უმაღლესი კოეფიციენტის მქონე კითხვები თავად დავუსვით მონაწილეებს, რაზედაც „ასპროცენტიანი“ პასუხების ანშლაგი გადმოიფრქვა ყურმილში; ამან ტურს აზრი დაუკარგა, ჩვენ კი დაგვარწმუნა იმაში, რომ მართლაც კროსვორდის კარგი ამომხსნელები აღგვიზრდია ამდენი წლის განმავლობაში; ასე რომ:

„სასიკვდილო მე (*ალ.ელერდაშვილი*) ვარ მხოლოდ,
ასეთად, რომ გამიზრდიხართ!“

თუმცა ჯერნაადრევია „სასიკვდილო ანგარიშსწორება“ და ვფიქრობთ, რომ თქვენი ოსტატობის ზრდის პარალელურად ჩვენც გავიზრდებით.

**გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ!**

ასე რომ, დღევანდელი ტური ფაქტიურად განმეორებითი და დამატებითია, რადგან პირველლიგელებს ვასვენებთ და ამის შემდეგ ყველაფერი ჩვეული სცენარით წარიმართება.

**პირველი ლიგის მონაწილეთათვის ცხადდება იძულებითი შესვენება, თუმცა გავარჯიშების მიზნით, სურვილისამებრ კონკურსგარეშე პასუხებს მათგანაც მივიღებთ.**













## საპრემიო კასკადი VII ტურის მონაწილეთათვის

# საპრემიო კროსვორდი

(ყოველი ამოცნობილი სიტყვა ერთ ქულას მოგიტანთ)




1. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა დიდი ცოდნა გამოამჟღავნა ერთ-ერთმა თქვენგანმა გასულ ჩემპიონატში დაღესტნურ ლიტერატურასთან მიმართებაში.. ახლა ვცადოთ ყარაყალპაყურ ლიტერატურაში გარკვევა:

Народный писа–тель Каракалпакии (1974). Роман «Дочь каракалпака» (кн. 1–2, 1963–65) о су–дьбе каракалпакской женщины в 20 в., «Зеница ока» (1984); историч–еская трилогия «Каракалпакские дастаны» (кн. 1–3, 1968–1976). Повести. Государственная премия СССР (1986).

2. იხილეთ ღერბი ერთი რუსული ქალაქისა და ამ ქალაქის სახელი გაიხსენეთ 1920 წლამდე.

3. ახლა ამქვეყნად ყველაზე „ანდამატური“ ტოპონიმი გაიხსენეთ.

4. ახლა შეეცადეთ, ცენტრალურ პოზიციაზე განლაგებული ქალბატონის ტიტული დაადგინოთ.

5. ახლა მოგვახსენეთ, შიგა ყურის ქრონიკულ დაავადებას რა ჰქვია... ამ დაავადებამ შეიძლება ჩვენც დაგვაყრუოს, თუ კითხვების რაოდენობა არ შევამცირეთ.

6. ახლა ქვედა ყმაწვილი ღმერთის ქანდაკება იხილეთ და მისი ვინაობა დაადგინეთ.

7. ახლა ის გვითხარით - ვინაა ერთ-ერთი მათგანი, ვინც ორი გიორგის და დიანას ადგილის დაკავებას ცდილობს.

8. ახლა მხარი დაგვიჭირეთ იმ აზრში, რომ მამას არანაკლებ უყვარს შვილები და ამ აზრის მხარდასაჭერად ძალზედ ცნობილი კინოპერსონაჟიც გაიხსენეთ.

9. ამ მდინარის პარამეტრები ასეთია:

სიგრძე - 560 კმ.

აუზის ფართობი - 57 ათასი კვ. კმ.

წყლის საშუალო ხარჯი - 164 მ³/წმ

...თანაც სულ კასტანიეტების ქღარუნში მიედინება სათავიდან შესართავამდე.

---

ასე და ამრიგად, ამ განმეორებით-დამატებით ტურში ძალზედ და ძალიან შევეცადეთ, რათა, უხეში სირთულე კი არა, გონებისათვის საამოდ ძნელად შეზავებული კითხვები შემოგვეთავაზებინა იმ დამარცხების წილ, რაც განვაცდევინეთ გასულ ტურში.

...ჯერი თქვენზეა!

„ფანტაზია“ გისმენთ!

## კონკურსი

ვაცხადებთ კონკურსს საუკეთესო საჩემპიონატო კროსვორდის შედგენაზე საკროსვორდო ჩემპიონატის დასკვნითი მეათე ტურისათვის. კროსვორდი უნდა იყოს იმ სტანდარტების შესაბამისი, რაც ჩვენი ჩემპიონატისათვისაა დამახასიათებელი. დაგვიკავშირდით საღამოს საათებში ა.წ. 15 ნოემბრამდე: 79-53-70 მან 76-68-02

## კითხვა ჩვენი კინოს მცოდნეთათვის (9 ქულა)

ჩვენ კარგად, რომ დავფიქრდით, ქართულ კინოში სამი „ნიშნიანი ძე“ გავიხსენეთ, ანუ ის პერსონაჟები, რომლებსაც რაღაც სპეციფიური ნიშანი გააჩნიათ სხეულზე. დაასახელეთ ეს სამი პერსონაჟი (ყოველი პერსონაჟის დასახელება სამ ქულას უდრის). თუ თქვენ სამზე მეტი ასეთი ძე გაიხსენეთ, ყოველ დამატებით პერსონაჟზე ასევე სამ ქულას დაიმსახურებთ (...თუ რა თქმა უნდა, ჩვენც დაგვეთანხმეთ).







## კითხვა-დაზუსტება (3 ქულა)

ამასწინათ ერთმა ჩვენმა მკითხველმა დაგვირეკა და გვთხოვა ასეთი კითხვა დაგვესვა „ფანტაზიელებისათვის“: დაასახელეთ კაცი, რომელმაც ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწია, როგორც მეცნიერებაში (ნობელის პრემია), ასევე სპორტში (ოლიმპიური მედალი). ჩვენ კი სპეციალური კვლევა-ძიება ჩავატარეთ ამ საკითხთან დაკავშირებით და დავადგინეთ, რომ ოლიმპიური მედალი ამ დიდ მეცნიერს კი არა, მის ძმას აქვს მიღებული, თავად იგი კი თავის ქვეყნის ნაკრებში იმ წელს ვერ მოხვდა... ასე რომ, გაბათილდა ის ლამაზი ლეგენდა, რაც ჩვენც გვსმენოდა და გვჯეროდა ამ დიდი მეცნიერის შესახებ, თუმცა კითხვას კითხვადვე ვტოვებთ და გთხოვთ ასეთი დაზუსტებით გვიპასუხოთ:

დაასახელეთ ეს დიდი მეცნიერი და ის ოლიმპიური წელი, როცა მას შეეძლო თავის ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ერთ-ერთ საპატიო ოლიმპიურ ჯილდოს დაუფლებოდა და... თქვენ კიდევ სამ ოქროს... უკაცრავად, სამ ქულას მიიღებთ.

# იტალიური კროსვორდი

**ვერტიკალურად:**

- ქვემო ქართლ. ისტ.რეგიონი (7) / ზაქროს საძებარი მთა (8)
- იაპონური ლექსი (5)
- იტალ. პორნოვარსკვლავი (8) / ბერძენი მულტიმილიონერი (7)
- სოფლის მოხელე ძველ საქართველოში (11)
- ესკორტი (5) / ადვილი (4) / ჭადრაკ. ფიგურა (5) / (.....) იოსელიანი (4)
- ძიუდოს ოსტატობის ერთეული (4)
- ოპერის სიმღერა (4) / (.....) მარტინი (4)
- სპორტული თამაში (5)
- ქართლის მდინარე (6)
- პოლიციის უფროსი აშშ-ში (4) / გულს შეიძლება სჭირდეს (5)
- გორგასლის ვაჟი (4) / ბინა (5) / არაბული ქვეყანა (5)
- ვორონცოვის ტიტული (7) / იტალ. ტელევიზია (3) / მდინარის იქით (5)
- გასაღმერთებელი (9) / ფიროსმანის როლში (6)
- ძველებური სასმისი (7) / სალომე (7)
- ზღაპრული ცხენი (4) / სიკვდილისწინა ყოფა (6)

**ჰორიზონტალურად:**

- იშტა (4) / ვაჟას უყვარდა (6)
- სურინამის დედაქალაქი (10)
- „ბუდენბროკების“ ავტორი (4) / ფქვილს სჭირდება (6)
- გაერთიანება (7)
- თურქეთის ქალაქი (5) / თეატრ. კოლექტივი (4)
- დროშა (5)
- გულს ემართება ხოლმე (5) / იაფი ქსოვილი (4)
- მწერალი (......) მოსაშვილი (3)
- (.....) კერესელიძე (5) / კუჭის გამოსარეცხი (4)
- ალანი (3)
- პარიზის აეროპორტი (4) / ჭაჭა (5)
- შაჰის ცოლები (9)
- ავეჯის ნაწილი (6) / (.....) აპინა (5)
- ფრანგი მწერალი, ლუი (7)
- თითის დაქნევა (3) / დორიანი (4)
- რუსული ანბანი (8)
- ტრანსპორტის მოძრაობის ცხრილი (7) / ხვიარა მცენარე (4)
- აშშ-ს შტატი (8)
- რუსეთის ქალაქი (7) / თეიმურაზ ხევისთავის ცოლი (5)
- აშშ-ს შტატი (4) / დიდების ნახევარი (4)
- დედალი ღორი (5)
- სახელმწიფო ინდოჩინეთში (8)



# მინი–მალყლა



**1**. ქალაქი ბოლივიაში. **2**. ჰოლივუდელი ვარსკვლავი, რომელიც ერთხელ საბჭოთა კავშირს საკუთარი თვითმფრინავით ესტუმრა. **3**. ვინ იმალება კროსვორდი ბადის უკან (სახელი და გვარი)? **4**. ქართული სახელი, რომელსაც ყველაზე უკეთ იცნობენ იტალიაში. **5**. (.......) გონჩარი, უკრაინელი მწერალი. **6**. მსახიობი, რომელიც ქერინგთონების უფროსი რძლის როლს ასრულებდა. **7**. ლონისძიებათა ერთობლიობა,,რაც მიწათმოქმედებაში მოსავლის რაოდენობის მატებას უწყობს ხელს. **8**. ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის სახელის მქონე ქიმიური ელემენტი. **9**. სხვა ბინაში გადასავლა საცხოვრებლად ანუ რა? **10**. ელექტროვაკუუმის შემქმნელი ხელსაწყო, რომელიც ტალღების გენერატორის ფუნქციას ასრულებს. **11**. ინკვიზიციის განაჩენის საზეიმო გამოცხადება. **12**. რა ერქვა ვოლგაზე მდებარე მონღოლთა სახელმწიფოს? **13**. აკაკი ხორავას ერთ-ერთი უკანასკნელი კინოროლი. **14**. მუდამ ბრუნვის დანიშნულების მქონე სათამაშო. **15**. ჩვენს სამეზობლოში მდებარე ერთ-ერთი მეგაპოლისი. **16**. ქალების რა თვისება დაგვიფარავდა განსაცდელში ყოფნისას, ლადო ასათიანის აზრით? **17**. ქართულ კინემატოგრაფთან გაშინაურებული ფრანგი მსახიობი. **18**. შესანიშნავი ქართველი მოცეკვავე და ესტრადის მოღვაწე ბაგრატიონთა დინასტიიდან. **19**. სოფელი მცხეთის რაიონში.

## გინესების რეკორდების წიგნი

### ზღვის სიღრმეების ზღვრები

*მოდელირებული ყვინთვა*

**რიჩარდ პრესლი**.

რიჩარდ პრესლიმ 69 დღე-ღამე და 19 წუთი გაატარა 1992 წლის 6 მაისიდან 14 ივლისამდე წყალქვეშა მოდულში.

*წყალქვეშ გადარჩენის ხანგრძლივობა*

**როჯერ ჯ. ჩეპმენი და როჯერ მალინსონი**

როჯერ ჩეპმენი და როჯერ მალინსონი 76 საათის განმავლობაში იყვნენ წყალქვეშა ხაფანგში მოქცეულნი, როცა 1973 წლის 29 აგვისტოს ჩაიძირა ბატისკაფი „პაისისი“. ბატისკაფი წყლიდან ამოიღეს 1 სექტემბერს.

*ამოყვინთვის რეკორდი*

**რიჩარდ ა.სლეიტერი**

მაქსიმალური სიღრმე, საიდანაც ადამიანმა მოახერხა ამოყვინთვა რაიმე ტექნიკური ხელსაწყოს გარეშე უდრის 169 მეტრს. სწორედ ამ სიღრმიდან ამოყვინთა რიჩარდ ა. სლეიტერმა, როცა კუნძულ სანტა-კატალინასთან (აშშ, კალიფორნია) ავარია განიცადა წყალქვეშა ხომალდმა.

*ტექნიკური საშუალებით ამოყვინთვის რეკორდი*

**ნორმან კუჯი და ჰემიშ ჯონსი**

ამოყვინთვის რეკორდი ტექნიკური საშუალებით დაამყარეს ნორმან კუჯმა და ჰემიშ ჯონსმა, როცა 183 მეტრის სიღრმეზე მდებარე დაზიანებული წყალქვეშა ნავიდან შეძლეს ამოსვლა წყლის ზედაპირზე მყვინთავის სპეციალური აღჭურვილობის მეშვეობით.

*მაქსიმალური სიღრმიდან ამოტანილი საგნები*

**ისტპორტ ინტერნეშენლი**

მაქსიმალური სიღრმე, საიდანაც ვერტმფრენის ნარჩენების ამოღება მოხერხდა, უდრის 5258 მეტრს; ვერტმფრენი წყნარ ოკეანეში 1991 წლის აგვისტოში ჩავარდა; 1992 წლის თებერვალში კი ხომალდ „ისტპორტ ინტერნეშენლის“ პერსონალმა შეძლო მისი ნარჩენების ამოღება აღნიშნული სიღრმიდან.

დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ, რომ კვლავაც სისტემატურად დავბეჭდავთ საინტერესო თავებს „გინესების წიგნიდან“. დღეისათვის უკვე დაბეჭდილი გვაქვს შემდეგი განყოფილებები: დიზაინი, ხელოვნება, დედამიწა, ჰობი; ამჟამად ადამიანისადმი მიძღვნილ ქვეთავს ვაქვეყნებთ, შემდეგ იქნება: ზღვრები, ფული, ბუნება, შედეგები, მეცნიერება, ზომები.

# აფორიზმების ანთოლოგია

* * * თუ ლოგიკა გკარნახობთ, რომ სიცოცხლე სრული უაზრობაა, ეშმაკებთან გაგზავნეთ!... ოღონდ არა სიცოცხლე, არამედ ლოგიკა.

**შაირა მილგრომი**

* * * თუ დამტკიცდება, რომ ჩვენი ლოგიკა მცდარია, ყველა მეცნიერება პოეზიად მოგვევლინება.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

* * * ლოგიკა ფანტაზიის ელექტროსკამია.

**უცნობი ავტორი**

* * * სულსა და მატერიას შორის შუამავალ როლს მათემატიკა ასრულებს.

**ჰუგო შტეინჰაუსი**

* * * ისევე, როგორც ხელოვნების ყველა დარგი მუსიკისაკენ მიისწრაფვის, ყველა მეცნიერების სამიზნეც მათემატიკაა.

**ჯორჯ სანტაიანა**

* * * მან პოეტობა დაიწყო, რადგან მათემატიკისათვის საკმარისი ფანტაზია არ აღმოაჩნდა.

**უცნობი ავტორი**

* * * რეალურობის სახლიდან ძალზედ ადვილია მათემატიკის უსიერ ტყეში მოხვედრა, უკან დაბრუნება კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

**ჰუგო შტეინჰაუსი**

* * * მათემატიკის კანონები, რომლებსაც ესა თუ ის კავშირი აქვს რეალურ სამყაროსთან, როგორც წესი უნდობლობას იმსახურებს; სანდო მათემატიკურ კანონებს კი არაფერი აქვთ საერთო რეალურ სამყაროსთან.

**ალბერტ აინშტეინი**

* * * თუ მთელი უსასრულობის შეცნობა შენთვის სირთულეს წარმოადგენს, შეეცადე მისი ნახევარი მაინც გაიაზრო.

**სლავომირ ვრუბლევსკი**

* * * წიგნში ჩართული ნებისმიერი ფორმულა მის მყიდველთა რაოდენობას ორჯერ ამცირებს.

**სტივენ ჰოკინგი**

* * * მეცნიერება საუკეთესო საშუალებაა პირადი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა სახელმწიფო ხარჯზე.

**ლევ არციმოვიჩი**

* * * ხელოვნება არსი „მე“, მეცნიერება – „ჩვენ“.

**კლოდ ბერნარი**

* * * მეცნიერება არის ნებისმიერი დისციპლინა, სადაც ერთი თაობის ბრიყვებს შეუძლიათ ბევრად უფრო შორს წავიდნენ, ვიდრე წინა თაობის გენიოსებს.

**მაქს გლიუკმანი**

* * * მეცნიერება ყველა კითხვაზე არ იძლევა პასუხს გამომძიებლის კაბინეტშიც კი.

**ჰენრიხ იაგოძინსკი**

* * * ვისაც არაფერი ესმის, გარდა ქიმიისა, მას არც ქიმია ესმის სრულყოფილად.

**გეორგ ლიხტენბერგი**

* * * მეცნიერების გაკოტრების შესახებ უფრო ხშირად ისინი ლაპარაკობენ, ვისაც გროშიც კი არ ჩაუდია ამ საწარმოში.

**ფელიქს ხვალიბურგი**

* * * მგონი, საქმე იქითკენ მიდის, რომ მეცნიერება ღმერთს ათმოაჩენს!... და მე წინასწარ მაშფოთებს მისი ბედი.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

* * * სამეცნიერო შრომა ეწოდება იმას, როცა კითხულობ ორ ისეთ წიგნს, რომელიც არავის წაუკითხავს და აპირებ იმ მესამე წიგნის დაწერას, რომელსაც არავინ წაიკითხავს.

**უცნობი ავტორი**



**ფანტაზიორის პასუხები (მე–6 გვ.)**

1. „კოკა-კოლის“ ბოთლის სახურავი. 2. ერნესტ ჰემინგუეის (ხსენებული გრეგორიო ფუენტესი ჰემინგუეისეული მოხუცის პროტოტიპი გახლავთ). 3. ჟან პაგანელს, რომელსაც ეგონა რა, რომ ესპანურს სწავლობდა, პორტუგალიური ისწავლა (ნორვეგიელი იბსენის პიესების თარგმნის მოსურნე ბალმონტი კი შვედურს სწავლობდა). 4. ეს იქნება მემილიონე დღე ჩვენს წელთაღრიცხვაში. 5. ურანს, რომლის თანამგზავრებსაც ტიტანია და ობერონი ჰქვიათ. 6. ზიმბაბვეს მოსახლეობის სიჭარბეს. 7. სხვებს მსოფლიო ჩემპიონთან ელოდათ თამაში, მას კი არა. 8. „ეზოში ავი ძაღლია“ – კიტა ბუაჩიძე. 9. თენგიზ აბულაძე – „მონანიება“. 10. კუბოზე. 11. უემბლი. 12. მილა იოვოვიჩი (ბორი - მეხუთე ელემენტი).

*მასალა დამუშავებულია „ფანტაზიის“ რედაქციის მიერ*

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

### 141. რიჩარდ ფეინმანი
**Feynman, Richard** (1918-1988)
ფიზიკოსი

რიჩარდ ფეიმანი იყო მთავარი ფიგურა ნიუ მექსიკოს შტატის ქალაქი ლოს ალამოსში ატომური ბომბის შექმნის საქმეში. მასთან ერთად კი ამ ქალაქში მოღვაწეობდნენ XX საუკუნის ისეთი დიდი ფიზიკოსები, როგორებიც იყვნენ ბორი, ფერმი და ოპენჰაიმერი. ფეიმანის უდიდესი დამსახურება მეცნიერების წინაშე 1965 წელს ნობელის პრემიით აღინიშნა.

### 142. უილიამ კლოდ ფილდსი
**Fields, W.C.** (1879-1946)
მსახიობი

XX საუკუნის დასაწყისის მუნჯი კინოს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა უ.კ. ფილდსმა მოღვაწეობა სცენაზე დაიწყო. კინოს გამოგონების შემდეგ კი მისმა კომიკურმა პერსონაჟმა ეკრანზეც გადაინაცვლა და დღემდე აღფრთოვანებაში მოჰყავს მაყურებელი თავისი ორიგინალობით.

### 143. ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი
**Fitzgerald, F. Scott** (1896-1940)
მწერალი

ნოველისტი და რომანისტი ფ.ს. ფიტცჯერალდი ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მიუხედავად პირადი ცხოვრების აურაცხელი პრობლემებისა მან შეძლო დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის დატოვება, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი „დიდი გეტსბი“.

### 144. ფერდინანდ ფოში
**Foch, Ferdinand** (1851-1929)
საფრანგეთის სამხედრო მოღვაწე

ეს კაცი ლეგენდასავით შემორჩა XX საუკუნის ისტორიას, რადგან ამ საუკუნეში 1870-71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის ყველაზე სახელოვან ვეტერანად შევიდა, თუმცა არც XX საუკუნეში შეუწყვეტია აქტიური სამხედრო მოღვაწეობა და პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე საფრანგეთის არმიის ერთ-ერთ წარმმართველ მხედართმთავრად ითვლებოდა.

### 145. ჯერალდ ფორდი
**Ford, Gerald** (1913-)
აშშ-ს სახელმწიფო მოღვაწე

აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი დაიბადა ნებრასკას შტატის ქალაქ ომაჰაში. მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. 1942-46 წლებში აშშ-ს სამხედრო ფლოტში გადიოდა სამსახურს. 1948 წელს შევიდა კონგრესის შემადგენლობაში. ფორდი პრეზიდენტ ნიქსონის ახალგაზრდობის დროინდელი მეგობარი იყო და 1973-74 წლებში ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. პრეზიდენტობის წლებში მის მოღვაწეობა აღინიშნა იმ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმებით, რამაც აშშ-ს პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენა იქონია.

### 146. ჰენრი ფორდი
**Ford, Henry** (1863-1947)
აშშ გამომგონებელი

ჰენრი ფორდი სამართლიანად ითვლება ამერიკის საავტომობილო წარმოების მამამთავრად. მან თავისი კომპანია 1903 წელს დაარსა და 1908-23 წლებში „ფორდის“ მარკის 15 მილიონი ავტომობილი გაყიდა მთელ მსოფლიოში. ჰენრი ფორდამ და მისმა შვილმა, ედელმა, შექმნეს საავტომობილო წარმოება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს საწარმოდ ითვლება.

### 147. ჰენრი ფაულერი
**Fowler, Henry** (1908)
აშშ ფინანსისტი

დაიბადა ვირჯინიაში. მიიღო უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. 60-იან წლებში პრეზიდენტ ჯონსონის მიერ აშშ-ს ფინანსური უწყების ხელმძღვანელად იქნა დანიშნული. სწორედ ამ პოსტზე მოღვაწეობისას შეძლო მან ამერიკის არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის ლიკვიდირება და დოლარის გაძლიერება, რამაც ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური სტაბილურობა განაპირობა.

### 148. ფელიქს ფრანკფურტერი
**Frankfurter, Felix** (1882-1965)
აშშ იურისტი

ფელიქს ფრანკფურტერი პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ზეობის წლებში აშშ-ს უმაღლეს იურიუდიულ ინსტანციებს ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, 25 წლის განმავლობაში ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორადაც ითვლებოდა, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანა სამართალმცოდნეობრივი დისციპლინების განვითარების საქმეში. ფელიქს ფრანკფურტერის წვლილი XX საუკუნის ისტორიის მსვლელობაში იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მან დიდი შრომა გაწია ისრაელის, როგორც სახელმწიფოს, შექმნა-ჩამოყალიბებაში.

### 149. ფრანცისკო ფრანკო
**Franco, Francisco** (1892-1975)
ესპანელი პოლიტიკოსი

1926 წელს ფრანცისკო ფრანკომ გენერლის წოდება მიიღო, 1934 წელს კი ესპანეთის არმიას ჩაუდგა სათავეში. ორი წლის შემდეგ ფრანკომ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო შეთქმულება მოაწყო, რაც ესპანეთის სამოქალაქო ომში გადაიზარდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანკო ჰიტლერისა და მუსოლინის აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა. ფრანკო გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მის მიერვე შექმნილ პარტიას, რომელსაც წამყვანი პოზიციები ეკავა ქვეყანაში. ფრანკოს ინიციატივითვე 1969 წელს ესპანეთის ტახტზე ავიდა პრინცი ხუან კარლოსი

### 150. ორვილ ფრიმენი
**Freeman, Orville** (1918)
აშშ-ს სახელმწიფო მოღვაწე

ეს პიროვნება იმით შემორჩა XX საუკუნის ისტორიას, რომ 60-იანი წლებში, პრეზიდენტების კენედისა და ჯონსონის ზეობისას, აშშ-ს სასოფლო-სამეურნეო უწყებებს ხელმძღვანელობდა და ამ პერიოდში გაატარა ის ღონისძიებები, რამაც ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტის წარმოებას შეუწყო ხელი.

### 151. ზიგმუნდ ფროიდი
**Freud, Sigmund** (1856-1939)
ფსიქიატრი

ზიგმუნდ ფროიდს XX საუკუნის აღმოჩენათა შორის ეკუთვნის ერთ-ერთი ისეთი თეორიის შექმნა, რამაც განსაზღვრა კაცობრიობის შემდგომი განვითარების გზა. მორავიაში დაბადებულმა და ვენაში მოღვაწე მეცნიერმა საუკუნის დასაწყისშივე გამოაქვეყნა შრომები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო ფსიქოანალიზის მეთოდს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ნაცისტების გაბატონების შემდეგ, იგი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა ვენა და ლონდონში გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც გარდაიცვლა კიდეც მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე.

### 152. ბეტი ფრიდენი
**Frieden, Betty.** (1921)
მწერალი

დაბადა ილინოისის შტატში (ელიზაბეტ გოლდსტაინ პეორია); გათხოვების შემდეგ, დიასახლისობის გარდა, არანაირ საქმიანობას არ ეწეოდა, მაგრამ 1963 წელს, ყველასათვის მოულოდნელად, გამოაქვეყნა წიგნი „ქალის საიდუმლო“, სადაც მოგვცა სრული ანალიზი ქალის მდგომარეობსა ამერიკის საზოგადოებაში. სამი წლის შემდეგ ფრიდენის ინიციატვით შეიქმნა ქალთა პირველი ეროვნული ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარე თავადვე გახდა.

### 153. მილტონ ფრიდმანი
**Friedman, Milton** (1912-)
ეკონომისტი

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, 1976 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა არა მარტო აშშ-ს, არამედ მთელი მსოფლიოს სამეცნიერო სამყაროში. მისმა მრავალმა მოსაზრებამ და პრაქტიკულმა რჩევებმა დიდად შეუწყო ხელი ამერიკის ეკონომიური ძლიერების შექმნას.

### 154. რობერტ ფროსტი
**Frost, Robert** (1874-1963)
პოეტი

ამერიკელი პოეტი რობერტ ფროსტი ლიტერატურულ სამყაროს მოევლინა, როგორც ადამიანის ზნეობის, თუ შეიძლება ითქვას, მკვლევარი, როგორც ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული აღქმის აპოლოგეტი... რობერტ ფროსტს ოთხჯერ მიენიჭა აშშ-ს ლიტერატორთა წრეებში მეტად პრესტიჟული პულიტცერის პრემია იმ დამსახურებათა გამო, რაც მან ინგლისურენოვანი ლიტერატურის განვითარების საქმეში შეიტანა.

### 155. ენრიკო ფერმი
**Fermi, Enrico** (1901-1954)
იტალიელი ფიზიკოსი

ითვლება ბირთვული და ნეიტრონული ფიზიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად. 1938 წლიდან აშშ-ში ცხოვრობდა, რადგან მეუღლე ებრაელი ჰყავდა. ამავე წელს მიენიჭა ნობელი პრემია. სწორედ ენრიკო ფერმიმ შექმნა პირველი ბირთვული რეაქტორი, რამაც დასაბამი მისცა მთელ შემდგომ გამოგონებებს ამ სფეროში.

1. 60-იანი წწ უძლიერესი დაღესტნელი მოჭიდავე (**9**). 2. ნავთობპროდუქტებისაგან მიღებული უფერო გაზი (**8**). 3. „ანტიგონეს“ პერსონაჟი (**7**). 4. აღმოსავლელი პოეტი-მუსიკოსი (**2**). 5. რომან „დავით აღმაშენებლის“ პერსონაჟი (**3**). 6. ახლო წარსულის უძლიერესი გერმანელი მოჭადრაკე (**7**). 7. ტოპონიმი „შუშანიკის წამებიდან“ (**8**). 8. ამერიკელი ბადროსმტყორცნელი, ოლიმპ. თამაშების 4-გზის ჩემპიონი (**9**). 10. ბელადის ქალაქი (**2**). 11. ავტორი რომანისა „აღმოსავლეთის ექსპრესი“ (**4**). 12. ავტორი პიესისა „ჭინჭრაქა“ (**5**). 13. ავტორი პიესისა „კიკვიძე“ (**8**). 14. ნორვეგიელი ქალბატონი (**6**). 15. შუა საუკუნეების უდიდესი სპარსელი პოეტი (**7**). 16. სურნელოვანი საკმაზი ბალახი (**1**). 17. დაღესტნის ისტორიული აული (**4**). 18. სპეციფიური ხევსურული სახელი მამაკაცისა (**2**). 19. იტალიის საინფორმაციო სააგენტო (**10**). 20. ყველაზე ტიტულოვანი აზერბაიჯანელი რევოლუციონერი-კომუნისტი (**6**). 21. სიმებიან საკრავზე დამკვრელი (**3**). 22. იტალიური ფეხბურთის დაცვითი ტაქტიკა (**9**). 23. ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი გაერთიანება (**3**). 24. სანკტ-პეტერბურგელი მომღერალი ექიმი (**5**). 25. ფრანგული ესტრადის ლეგენდა (**3**). 26. სკანდინავიური მითოლოგიის უზენაესი არსება (**9**). 27. ხორვატი ფეხბურთელი (**6**). 28. კაცობრიობის უდიდესი მეზღაპრე (**2**). 29. მომავლის რწმენა, ასე ვთქვათ (**1**). 30. რა ერქვა სომეხ პოეტს, ჩარენცს? (**8**). 31. ლილიპუტების „მამა“ (**3**). 32. რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი ახლო წარსულში (**10**). 33. XX ს სომეხი მწერალი, გარეგინ... (**9**). 34. იუგოსლავიის პარლამენტი (**6**). 35. უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ დადგენილი მოძღვრება (**8**). 36. პოპულარული გვარი შექსპირის პერსონაჟებს შორის (**7**). 37. დედამიწის ერთ-ერთი ძირითადი ბინადრის სტატუსი (**1**). 38. არგენტინელი ფეხბურთელი, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი (**8**). 39. ცურვის სტილი (**3**). 40. ქოსა... გამსახურდიას შემოქმედებიდან (**3**). 41. იტალიელი ფერმწერი, 1472-1517 წწ. (**10**). 42. თბილისის ერთ-ერთი რძის კომბინატის სახელი (**5**). 43. პარიზის 1382 წლის აჯანყების ყოველი მონაწილის განმაზოგადოებელი სახელი (**10**). 44. ხელყუმბარის ამფეთქებელი მოწყობილობა (**5**). 45. XX საუკუნის ქართველი პოეტი (**2**). 46. საშინელი აფრიკული მწერი (**6**). 47. „დედა ენის“ პერსონაჟი (**1**). 48. ჩეხოვის „თოლიას“ პერსონაჟი (**9**). 49. პარფიუმერული სითხე (**3**). 50. ივან ტურგენევის მოთხრობა (**5**). 51. XIX საუკუნის უძლიერესი ამერიკელი მოჭადრაკე (**5**). 52. „ბატონი“ - იტალიურად (**4**). 53. პრესის მუშაკი (**3**). 54. თელავის თეატრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი (**6**). 55. აღმოსავლური გარდერობის სპეციალური სამოსი (**2**). 56. ფიგურის გამოსახვა პერსპექტივაში, როგორც ფერწერული ხერხი (**7**). 57. ქართველი კომპოზიტორი, გია... (**4**). 58. რუსი ძალოსანი და მწერალი (**6**). 59. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი (**7**). 60. ლეგენდარული ბასკი მეკარე (**8**). 61. იაპონური ავტომობილი (**3**). 62. ძალზედ ცნობილი ესპანელი გიტარისტი (**7**). 63. ჩრდილოეთ ირლანდიის საფეხბურთო კლუბი (**8**). 64. 60-იანი წლების უძლიერესი შოტლანდიელი ფეხბურთელი (**7**). 65. აღმოსავლური ძღვენი (**8**). 66. განუხორციელებელი ოცნება (**3**). 67. მთავარი პერსონაჟი პიესისა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ (**7**). 68. უძველესი აღმოსავლური სატრანსპორტო საშუალება (**1**). 69. ქალიშვილის, გოგონას აღმნიშვნელი „ლაზღანდარული“ სიტყვა (**2**) 70. ასე ვთქვათ, „ზამთრის ინვენტარი“ (**1**). 71. „ჩხიკვთა ქორწილის“ პერსონაჟი (**4**). 72. (თუნდაც) კინომოღვაწეთა თავშეყრის ერთ-ერთი საშუალება (**2**). 73. თემის წინააღმდეგ ამხედრებული ერთ-ერთი პერსონაჟი (**2**). 74. რა ერქვა 1966 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა ლომის ბოკვერს? (**10**). 75. პოეტურობას მოკლებული ცნება (**3**). 76. გალაკტიონის „მეგობარი“ სიჭაბუკეში (**2**). 77. მითოლოგიური მეომარი ქალი (**4**). 78. ტოლერანტული ანუ? (**6**). 79. 1,09 ჰექტარი ძველ რუსეთში (**9**). 80. პაკისტანის სახელმწიფო ენა (**8**). 81. „კეთილი ადამიანების“ ქალაქი (**1**). 82. ყოველი ძაფის პოტენციური პოზიცია (**2**). 83. პირამიდების დარაჯი (**4**). 84. ავტორი რომანისა „მთვარის სპეკალი“ (**9**). 85. პარკოსანი მცენარე (**2**). 86. პროფესია, რომელიც სერგო ზაქარიაძემ ბელა მირიანაშვილს გადაულოცა (**2**). 87. ხმელეთის ფაუნისტური ბატონობა (**10**). 88. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანება (აბრევიატურა) (**8**). 89. პატარძლის მაყარი ქალი (**4**). 90. რა სჭირდება სატრანსპორტო საშუალებას? (**1**). 91. სოფელი ახმეტის რაიონში (**5**). 92. ლათინური ამერიკის რეგიონი (**6**). 93. დიდი ესპანელი მხატვარი (**4**). 94. (თარაზულად) თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ცენტრი (**4**). 94. (შვეულად) თანხმობა - ამერიკულად (**2**). 95. პარკოსანი მცენარე (**1**). 96. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი (**2**). 97. აზიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე (**6**). 98. საპარლამენტო პროფესია (**1**). 99. იგივე საკვამური (**2**).



| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
| 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 |
| 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 |
| 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 |
| 71 | 72 | 73 | 74 | 75 | 76 | 77 | 78 | 79 | 80 |
| 81 | 82 | 83 | 84 | 85 | 86 | 87 | 88 | 89 | 90 |
| 91 | 92 | 93 | 94 თ | 94 შ | 95 | 96 | 97 | 98 | 99 |

| | |
|---|---|
| **1-150** | - ეს ერთი და სხვა მრავალი! |
| **151-250** | - გაგიმარჯოს, გადღეგრძელოს, საცოდნელი გაგეგრძელოს! |
| **251-350** | - გულს თუ ასე გაგვიხარებთ, ოსტატობას დაგიჩქარებთ! |
| **351-430** | - ეგ ოსტატობა, ძამია, აღარც რად დასამალია! |
| **431-480** | - რა გარე-გარე დადიხარ, შენ ჩვენი დიდოსტატი ხარ! |
| **481-495** | - ბრავო, მაესტრო! |
| **500** | - ჩემნაირო-ო-ო-ო! |

პასუხები მე-17 გვერდზეა

# მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

*გამოშვება №35*



**სიუზენ სარანდონი Susan Sarandon**

დაიბადა 1946 წლის 4 ოქტომბერს

...ჯულია რობერტსმა შლაპა თვალებამდე ჩამოიწია, რათა არავის ეცნო და ვაშინგტონ-პარკში ნაბიჯს აუჩქარა. გზად კი სულ იმას ფიქრობდა - „მაინც რა უნდა მოსვლოდა სიუზენს, ასე სასწრაფოდ რომ მიხმოო თავისთან?!“

არც მელანქოლია და არც ისტერიკა არასოდეს ყოფილა სარანდონისათვის დამახასიათებელი. უფრო მეტიც - ჯულიას ყველა მეგობარს შორის, სიუზენი იყოერთადერთი, ვინც არასოდეს წუწუნებდა ზედმეტი წონისა თუ ნაოჭების გამო, პანიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! წარმატებული კარიერა, დიდი ჰონორარები, „ოსკარის“ არაერთი ნომინაცია... ეს ყველაფერი სარანდონს საკმაოდ ჰქონდა. ამას ზედ ბედნიერი ქორწინებაც დაერთო ტიმ რობინსონთან და...

ერთი სიტყვით, ამ ქალს საგანგაშო არაფერი არ უნდა შემთხვეოდა.

**ჯულიამ ნაბიჯს უმატა**... კარი მას საშინაო ფორმაში გამოწყობილმა, თმაგაწეწილმა მასპინძელმა გაუღო, რომელიც ახლა ნამდვილად ჰგავდა 54 წლის ქალს. ჯულიას ძალიან უყვარდა სიუზენთან და ტიმთან სტუმრობა, აქ იყო ყველაფერი, რაც ადამიანურ ცხოვრებაზე მეტყველებდა და არა ჰოლივუდის ორი ვარსკვლავის ყოფაზე.

„ჩქარა მითხარი, რა მოხდა! - თითქმის უბრძანა ჯულიამ - სად არის ტიმი, სად არიან ბავშვები?! თქვენ რა - იჩხუბეთ?!“

სიუზენმა გულგრილად გააბოლა სიგარეტი და სტუმარი დაამშვიდა - „ხომ იცი, ჩვენ არასოდეს ვჩხუბობთო“. მას სხვა რამ ჰქონდა სათქმელი დაქალთან და ამის თქმამდე კარიკატურა გაუწოდა, სადაც იგი დიდი, უზარმაზარი მკერდით იყო გამოსახული და ჩვილის საფენებში გახვეულ ტიმს ძუძუს აჭმევდა.

**„რა საზიზღრობაა!“** - აღმოხდა რობერტსს.

სიუზენი კი კარადასთან მივიდა და ბრენდი გამოიღო.

„შენ რა, სმაც დაიწყე?!“ - აღშფოთებას ვერ მალავდა ჯულია.

ასე დაიწყო სიუზენ სარანდონის მონოლოგი:

*„მთელი ცხოვრება ხალხის წინაშე ვთვალთმაქცობ, რომ ძლიერი, დამოუკიდებელი ქალი ვარ, მაგრამ... მე ხომ მშვენივრად მესმის, რომ არავის სჯერა ბედნიერება იმ ოჯახისა, სადაც ქმარი ცოლზე 12 წლით უმცროსია... განა ყოფილა შემთხვევა, რომ ყმაწვილ უფლისწულს დედის ასაკის ქალზე ექორწინა?!...*

* * *

სარანდონმა და რობინსმა ერთმანეთი 1988 წელს გადაღებებზე გაიცნეს. სიუზენი მაშინ 42 წლის იყო; ტიმს იგი თავიდანვე მოეწონა, როგორც ქალი, მაგრამ უფრო საინტერესო ის იყო, რომ მრავალისმნახველ სიუზენსაც სატრფიალო დაბნეულობანი დასჩემდა. და აი, ერთხელ, ღამით ქალის ვაგონთან (გადაღებებზე) ჩრდილი გამოჩნდა, რომელმაც ფრთხილად დააკაკუნა კარზე.

„შენი კამათი რეჟისორთან სავსებით სამართლიანად მიმაჩნიაო“... - მისვლის მიზეზად ამის თქმა არჩია კაცმა, ქალს კი გონებაში გაუელვა - „რომ ეთქვა შენი ახალი ვარცხნილობა მომეწონა, უკეთესი იქნებოდა“. ასეა თუ ისე, იმ ღამემ „მშვიდობიანად“ ჩაიარა და მას შემდეგ საოცარი რამ აღმოაჩინეს ტიმმა და სიუზენმა - მათი აზრები და მისწრაფებანი აბსოლუტური სიზუსტით ემთხვეოდა ერთმანეთს (...ან სურდათ, დაემთხვიათ?!). განსაკუთრებით პოლიტიკურ საკითხებში „უ ქნევდნენ თავებს“ ერთმანეთს და დღითიდღე ისახებოდა მეგობრობის კონტურები, მაგრამ არა რომანტიულისა, არამედ უფრო ნათესაურ-მშობლური შეფერილობისა.

* * *

*„იგი დღემდე ჩემში საკუთარი დედის გაგრძელებას ხედავს!... - ეს უკვე სიუზენის მონოლოგიდანაა - ნაცნობობის პირველ ხანებში, ტიმი სულ დედაზე, მამაზე და თავის წინაპრებზე მიამბობდა გრძელ-გრძელ ამბებს, მე კი იმის შეხსენება მჭირდებოდა, რომ ჩვენს ურთიერთობას კოცნაც გაალამაზებდა.... აუცილებლად, თუმცა არც მე ვაკლებდი „პოლიტიკური ამბების“ მიმოხილვას და შეხსენება შეხსენებადვე რჩებოდა....“*

* * *

ყმაწვილქალობაში სიუზენი როლებით კი არა, წარმატებულად ჩატარებული სოციალურ-პოლიტიკური აქციებით იწონებდა თავს („დედაჩემიც ასეთი იყოო“ - სულ ეუბნებოდა ტიმი); სამართლიანობისათვის ბრძოლა ბავშვობიდანვე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი სიუს. ამერიკელი კათოლიკეების ოჯახში აღზრდილი სიუზი ტომალინგი ადრეული ბავშვობიდანვე მონაზვნობისათვის ემზადებოდა. ნიუ-ჯერსის სასულიერო სკოლაში ამ გოგონას ყველაზე სერიოზულ და დაფიქრებულ მოსწავლეს უწოდებდნენ. თუმცა ეჭვებიც ღრღნიდნენ მის გულს და გონებას, რაც ღმერთისა და მისი შვილების ურთიერთობის კრიტიკაში გადაიზრდებოდა ხოლმე და ხშირად ამ სერიოზულ გოგონას გაკვეთილის დატოვება უხდებოდა მასწავლებლების უვიცობისა და არაკომპეტენტურობისა გამო. ასე დაუპირისპირდა სიუზი უსამართლობას, რის წინააღმდეგ ბრძოლაც **ცხოვრების აზრად** გაიხადა.

მალე მშობლები იძულებულნი გახდნენ გოგონა ჩვეულებრივ სკოლაში გადეყვანათ... აქ კი სიუზენმა თავი ისე იგრძნო, როგორც უცხოპლანეტელმა დედამიწელთა შორის: მისი მკაცრი იერი და სადა ჩაცმულობა სრულიად არ შეესაბამებოდა იმ პრანჭია თანაკლასელების იმიჯს, რაც მოკლე კაბებისა თუ სხვა „გამომწვევი ეფექტების“ სიმრავლით ხასიათდებოდა. ამ გარემოში კვლავ პროტესტმა აღავსო სიუზის არსება - რატომაა, რომ ამ ზარმაც და მატყუარა გოგონებს უფრო სწყალობთ ბედი, ვიდრე მას, ვისაც ნაბიჯიც არასოდეს გადაუდგამს ღვთიური მორალის წინააღმდეგ?! რატომაა, რომ მათ თავს ევლებიან ანებივრებენ, ასაჩუქრებენ, თვითონ კი იძულებულია, გაკვეთილების შემდეგ სახლში გაიქცეს და პატარა და-ძმის (ისინი სულ რვანი იყვნენ) მოვლაში გაატაროს ლამაზი წლები... რატომ?!

